აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

6 ივნისი, 2022

დადგენილება №62(21/22)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელ ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელ ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური დატვირთვის ნორმები თანდართული ფორმით.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

მუხლი 1

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელ ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური დატვირთვის ნორმები განსაზღვრავს უნივერსიტეტში ენების შემსწავლელ ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური დატვირთვის ნორმებს.

მუხლი 2

2.1. ენების შემსწავლელ ცენტრში ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის სასწავლო დატვირთვის მთლიანი წლიური მოცულობა განისაზღვროს - 500 საათი; მათ შორის:

ა) ლექცია-პრაქტიკული მუშაობის მინიმალური სავალდებულო საათების რაოდენობა განისაზღვროს 360 საათი;

მუხლი 3

3.1. ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტს უფლება აქვს სასწავლო დატვირთვის ნორმის (500 საათი) ზევით შეასრულოს სასწავლო დატვირთვა საათობრივი ანაზღაურების წესით არაუმეტეს 250 საათის (ლექცია-პრაქტიკული მუშაობა 72%; კონსულტაცია, ტესტების მომზადება, სტუდენტის შეფასება 28%) ოდენობით, რისი ანაზღაურებაც მოხდეს ინდივიდუალური დატვირთვით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ, სემესტრულად ფაქტობრივი შესრულების გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულებით, საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პერსონალს, რომელსაც მუშაობა უხდება საბაკალავრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ენობრივ ჯგუფებში (12-ზე ნაკლები) ინდივიდუალურ დატვირთვაში სასწავლო ნორმატივები განესაზღვროთ აკადემიური საბჭოს **2022 წლის 6 ივნისის** დადგენილების **№ 61 (21/22) მე-13 მუხლის "ტ" პუნქტით.**

3.3. ხელშეკრულებით, საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პერსონალს, რომელსაც მუშაობა უხდება სამაგისტრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ჯგუფებში (5-ზე ნაკლები) ინდივიდუალურ დატვირთვაში სასწავლო ნორმატივები განესაზღვროთ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის დადგენილების **№ 61 (21/22)**) მე-13 მუხლის" ს" პუნქტით;

მუხლი 4

4.1. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით ან საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პირის სასწავლო წლიური დატვირთვის მოცულობა და ანაზღაურების წესი (ამ დადგენილების მე–2, და მე–3 მუხლით განსაზღვრული ნორმებისადმი პირდაპირი პროპორციის გათვალისწინებით) შეთანხმდეს რექტორთან ენების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 5

5.1. იმ პირებს, რომლებიც მოწვეული იქნებიან ენების შემსწავლელ ცენტრში მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით, სასწავლო დატვირთვის მოცულობა განესაზღვროთ არანაკლებ 170 საათისა და არაუმეტეს 700 საათისა (ლექცია-პრაქტიკული მუშაობა 70 %; კონსულტაცია, ტესტების მომზადება, სტუდენტის შეფასება 30%);

მუხლი 6

6.1. ამ დადგენილებით განსაზღვრული პერსონალის ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა უნივერსიტეტში არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

მუხლი 7

7.1.გაუქმდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 მაისის დადგენილება № 66 (18/19) ენათა ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის დიაპაზონისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ.